NATIONAL FOOD AGENCY
Digitally signed by NATIONAL FOOD AGENCY
Date: 2019.05.20 15:39:36 +04'00'

ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "დამზღვევი") წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის, ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანი „გლობალ ბენეფიტ ჯორჯია"** (შემდგომში „მზღვეველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ნინო კობახიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება

1.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, მასში, აგრეთვე მის საფუძველზე გაცემულ სადაზღვევო პოლის(ებ)ში მოცემულ შემდეგ ტერმინებსა და გამოთქმებს ექნება შემდეგი მნიშვნელობა:

გამომუშავებული პრემია – პრემიის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდის შეფარდებას საწყის სადაზღვევო პერიოდთან;

დაზღვევის ობიექტი - დაზღვეულის ქონებრივი ინტერესი, გამოხატული მატერიალური ან არამატერიალური ფორმით, დაზღვევის ობიექტი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განისაზღვრება შესაბამისი პოლისით;

დაზღვევის პირობები – მზღვეველის მიერ შემუშავებული დოკუმენტი დაზღვევის სხვადასხვა სახეობების მიხედვით, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება დაზღვევის პირობები, დაზღვევის ყოველი კონკრეტული სახეობის მიხედვით. დაზღვევის პირობები, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდგომ, დანართების სახით დაერთვება ხელშეკრულებას;

დაზღვევის პოლისი / პოლისი - დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სერთიფიკატის, განაცხადის, ხელშეკრულების და დაზღვევის პირობების ერთობლიობას;

დაზღვევის პოლისის სერთიფიკატი / სერთიფიკატი - პოლისის შემადგენელი ნაწილი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია პოლისის მონაწილე მხარეებზე და პოლისით გათვალისწინებულ დაზღვევაზე;

დაზღვევის ტერიტორია – სერთიფიკატში მითითებული კონკრეტული მისამართი ან ტერიტორია, სადაც ვრცელდება დაზღვევა. დაზღვევა არ ვრცელდება ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე;

დამზღვევი - პირი, რომელმაც მზღვეველთან გააფორმა დაზღვევის პოლისი;

მზღვეველი - სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია", რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და დამზღვევთან დებს ამ ხელშეკრულებას;

მოსარგებლე/დაზღვეული - პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების, პოლისისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

მხარეები - მზღვეველი და დამზღვევი ერთობლივად;

სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა. შესაძლებელია სერთიფიკატში განისაზღვროს ცალკე ლიმიტი სხვადასხვა ტიპის დაზღვევის ობიექტისა და რისკებისათვის (ქველიმიტი);

სადაზღვევო პერიოდი – დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია სერთიფიკატში;

სადაზღვევო პრემია / პრემია - დაზღვევის ღირებულება. პრემიის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სერთიფიკატში;

სადაზღვევო რისკი / დაზღვეული რისკი - მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა;

სადაზღვევო შემთხვევა – შემთხვევა, რომლის შედეგად დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი, დაზღვეული რისკის დადგომის შედეგად დამდგარი ზარალი;

სამუშაო დღე - ნებისმიერი დღე შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა, როდესაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას;

ფორს-მაჟორი –მხარეთათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოება, რომელიც: ა) არ არის დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა თუ დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს იმ მხარის ხელშეკრულებით ან/და პოლისით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე, რომელიც მიუთითებს ფორს-მაჟორულ გარემოებაზე;

ფრანშიზა - თანხა, რომელსაც არ აანაზღაურებს მზღვეველი (არაანაზღაურებადი მინიმუმი) და აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე;

შენატანი - პერიოდულად გადასახდელი პრემიის შემთხვევაში, კონკრეტული პერიოდისათვის გადასახდელი პრემიის ნაწილი.

1.2. ხელშეკრულებაში მხოლობით რიცხვში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ მრავლობითი მნიშვნელობა და პირიქით, მრავლობით რიცხვში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ მხოლობითი მნიშვნელობა, თუ კონტექსტით სხვა რამ არ გამომდინარეობს.

1.3. ხელშეკრულებაში გამოყენებული ყველა სხვა ტერმინი გამოიყენება და განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას, დამზღვევის მიერ პრემიის სრულად ან პირველი შენატანის გადახდისა და პოლისში შეთანხმებული გადახდის გრაფიკის დაცვის სანაცვლოდ, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №2-ში მითითებულ ტექნიკაზე, 2019 წლის 21 მაისიდან 2019 წლის 21 ივნისის ჩათვლით, გაუწიოს დამზღვევს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურება, სადაზღვევო პოლისის, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. სადაზღვევო პერიოდი იწყება სადაზღვევო პოლისში მითითებული პირველი დღის 00.00 საათზე და მთავრდება პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების ვადის ბოლო დღის 24 (ოცდაოთხი) საათზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ადგილი აქვს დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტას).

2.3. დაზღვევის ობიექტი, დაზღვევის პერიოდი, ასევე, ფრანშიზის სიდიდე და ტიპი, სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი, დაზღვევის ტერიტორია / დაფარვის არეალი და სადაზღვევო პრემია (მისი გადახდის პირობების ჩათვლით) და დაზღვევის სხვა დეტალები მიეთითება დაზღვევის შესაბამის პოლისის სერთიფიკატში.

2.4. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ნებისმიერი ცალკეული, სადაზღვევო მომსახურების პირობები მოცემული იქნება დამატებით პირობებში, რაც წინამდებარე ხელშეკრულებასთან, განაცხადთან და პოლისის სერტიფიკატ(ებ)თან ერთად არეგულირებს დაზღვეულთან დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობას. წინამდებარე ხელშეკრულება და შესაბამისი სადაზღვევო პოლის(ებ)ი (დაზღვევის პოლისის სერთიფიკატის, განაცხადის და დაზღვევის პირობების ერთობლიობა) წარმოადგენს ერთიან სადაზღვევო დოკუმენტაციას.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. გასაწევი მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 28,275.88 (ოცდარვაათას ორასსამოცდათხუთმეტი) ლარსა და 88 თეთრს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში (დანართი #2) რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3.3. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ქვეპროგრამა - აზიური ფაროსანა წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მზღვეველი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს დამზღვევისათვის ყველა იმ დოკუმენტის გადაცემა (განაცხადი, დაზღვევის პირობები და პოლისის სერთიფიკატ(ებ)ი), რომლებიც საჭიროა დაზღვევის გაფორმებისათვის;

4.1.2. დამზღვევის მიერ პოლისში მითითებული გრაფიკის შესაბამისად გადახდილი პრემიის საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შემდეგ, აუნაზღაუროს დამზღვევს (ან მოსარგებლეს) ზარალი წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული დაზღვევის პოლისის დაზღვევის პირობების შესაბამისად.

4.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

4.2.1. დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების და დაზღვევის შესაბამისი პოლის(ებ)ის პირობების ან პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით;

4.2.2. არ აანაზღაუროს დამზღვევის ან დაზღვეულის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანი;

4.2.3. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის მიერ ხელშეკრულებითა და პოლისით გათვალისწინებული წესების დარღვევის შემთხვევაში;

4.2.4. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულის მიერ (ან დაზღვეულის თანამონაწილეობით) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს;

4.2.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს დამზღვევს საჭირო და აუცილებელი ცნობა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის ასევე ზიანის მოცულობის დასადგენად;

4.2.6. მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი ან საბუთი რაც აუცილებელი ან მიზანშეწონილია ზიანის გამომწვევი პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის წარსადგენად; მოითხოვოს გაცემული ანაზღაურების დაბრუნება, თუ აღმოჩნდა, რომ ზარალის დადგომა არ იყო გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით ან დამზღვევის ბრალით შეუძლებელია რეგრესის უფლების გამოყენება;

4.2.7. 4.3.4 პუნქტის მიხედვით რისკის ცვლილების (საფრთხის გაზრდის) შესახებ ინფორმაციის მიღებისას, მოითხოვოს პოლისით გათვალისწინებული პირობების შეცვლა (მათ შორის სადაზღვევო პრემიის გაზრდა) ან დაზღვევის შეწყვეტა; იგივე უფლებები მზღვეველს გააჩნია იმ შემთხვევაშიც, თუ 4.3.3 პუნქტით განსაზღვრული წესების საწინააღმდეგოდ, მზღვეველს არ ეცნობა არსებითი გარემოების შესახებ, თუკი დაზღვეულისათვის ცნობილი იყო ასეთი გარემოების თაობაზე, ან თუ არსებით გარემოებათა შეტყობინებას დამზღვევმა განზრახ აარიდა თავი ან თუ არსებითი გარემოებების შესახებ შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს;

4.2.8. მოითხოვოს დამზღვევისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით და დაზღვევის პოლისის დაზღვევის პირობებით დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულება.

4.3. დამზღვევი და/ან მოსარგებლე ვალდებულია:

4.3.1. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეავსოს და მზღვეველს წარუდგინოს მოთხოვნილი დაზღვევის სახეობისთვის მზღვეველის მიერ შემუშავებული განაცხადის ფორმა;

4.3.2. გადაიხადოს პრემია დაზღვევის პოლისში მოცემული პირობებისა და ვადების დაცვით;

4.3.3. პოლისის მიღებამდე გააცნოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის, მიუხედავად იმისა დაუსვამს თუ არა მზღვეველი მას შეკითხვას ამგვარი გარემოების არსებობის თაობაზე; არსებითია ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით. არსებითად ჩაითვლება ასევე გარემოება, რომლის შესახებაც მზღვეველი წერილობით შეეკითხება დამზღვევს გარკვევით და არაორაზროვნად;

4.3.4. პოლისის მოქმედების პერიოდში დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა შეატყობინოს მზღვეველს წერილობითი ფორმით ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც ზრდის დაზღვეული რისკის ზომას ან ხარისხს და რომელიც აღმოცენდა დაზღვევის ძალაში შესვლის შემდგომ (არსებითი გარემოებები, რომელიც აღმოცენდა პოლისის გაცემის შემდეგ);

4.3.5. დეტალურად გააცნოს წინამდებარე დაზღვევის პირობები დაზღვეულ(ებ)ს; დამზღვევი ვალდებულია, რომ დაზღვეულებს გააცნოს ვალდებულება, რომ მზღვეველს ენიჭება უფლება მოიძიოს და გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციას, რომელსაც მზღვეველი ჩათვლის საჭიროდ სადაზღვევო ანაზღაურებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი;

4.3.6. დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, აღნიშნულის შეტყობისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს, პოლისით დადგენილი პროცედურის დაცვით;

4.3.7. დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს და/ან შეამციროს ზიანი და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს მზღვეველის მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.3.8. ხელი შეუწყოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოკვლევა-მოძიებას და გადასცეს მას ყოველგვარი ცნობა, რომელიც კი აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვალეობის მოცულობის დასადგენად; მიანიჭოს მზღვეველს უფლება და შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში გასცეს წერილობითი თანხმობები კანონმდებლობით დადგენილი წესით, იმისათვის რომ მზღვეველმა შეუფერხებლად აწარმოოს მოკვლევა სადაზღვევო შემთხვევის შესახებ, მოიპოვოს ნებისმიერი დოკუმენტაცია სახელმწიფო, კერძო თუ სხვა სახის ორგანიზაციებში სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისთვის, რისკების კონტროლისთვის, სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გადამოწმების და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით;

4.3.9. დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული ქმედებების შესრულებაზე, ასევე მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების/უმოქმედობის ხელშეკრულებასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, შესაბამისად მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართით გათვალისწინებული ვალდებულებები და პროცედურები;

4.3.10. უზრუნველყოს მზღვეველისათვის იმ დოკუმენტაციის სრულად გადაცემა რომლის საფუძველზეც, მზღვეველი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება პირებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულისათვის მიყენებულ ზიანზე. თუ რეგრესული მოთხოვნის უფლების განხორციელება შეუძლებელია დამზღვევის მიზეზით, მაშინ მზღვეველს დაუბრუნდება დამზღვევისათვის ასანაზღაურებელი ან უკვე ანაზღაურებული თანხის ის ნაწილი, რომელიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით;

4.3.11. დაზღვეულის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება არ ათავისუფლებს დამზღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

4.4.1. მოითხოვოს მზღვეველისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით და დაზღვევის პირობებით დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულება;

4.4.2. პოლისის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მოსთხოვოს მზღვეველს დაკარგული პოლისის შესაბამისი წესით გაცემული ასლი (დუბლიკატი), რომლის დამზადების ხარჯსაც გაიღებს დამზღვევი.

5. განცხადებები და გარანტიები

5.1. დამზღვევი აცხადებს, რომ გააჩნია ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა იმისათვის, რომ დადოს ეს ხელშეკრულება დაზღვეულის სასარგებლოდ.

5.2. დამზღვევი ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულება და მზღვეველის მიერ მისთვის გადაცემული დანართები არ შეიცავს ბუნდოვან ან უჩვეულო დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო და ეთანხმება პირობებს. დამზღვევი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აგრეთვე ადასტურებს, რომ ყველა დანართსა და ცვლილებას გააჩნია მისთვის სავალდებულო ძალა.

6. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

6.1. სადაზღვევო პრემიის ოდენობა და სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობები (გრაფიკი) განისაზღვრება შესაბამისი სახეობებში გაცემული დაზღვევის პოლის(ებ)ით და მითითებულია დაზღვევის პოლისის სერთიფიკატში.

6.2. პრემიის სრულად ან პირველი შენატანის გადახდამდე მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან რაც ამავე დროს არ ათავისუფლებს დამზღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.3. პრემიის გადახდა უნდა მოხდეს:

6.3.1. ლარით, გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით;

6.3.2. პრემიის გადახდის პირობების (გრაფიკის) მიხედვით, მზღვეველის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი შეტყობინებისა და ინვოისის წარდგენის გარეშე, ამასთანავე მზღვეველის მიერ ინვოისის წარუდგენლობა არ ათავისუფლებს დამზღვევს თანხის გადახდის მოვალეობისაგან;

6.3.3. მომდევნო სამუშაო დღეს, თუ პრემიის გადახდის დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს.

6.4. პრემიის გადახდა მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით დამზღვევის არჩევანის შესაბამისად. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში პრემიის (ან შენატანის) გადახდა დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტის პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს: (1) 1 (ერთი) წლის ვადის ამოწურვამდე; ან (2) მის საფუძველზე გაცემული ყველა პოლისის შეწყვეტამდე, რომელი მოვლენაც უფრო გვიან დადგება.

7.2. ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული თითოეული პოლისი მოქმედებს პოლისის სერტიფიკატში მითითებული ვადით.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული პოლისის მოქმედება ავტომატურად უქმდება/ვადაზე ადრე შეწყდება:

7.3.1. თუ მოხდა სადაზღვევო თანხის სრული ანაზღაურება;

7.3.2. თუ დაზღვევის ობიექტმა შეწყვიტა თავისი არსებობა;

7.3.3. თუ დაზღვევის ობიექტი გასხვისდა;

7.3.4. თუ დამზღვევის მიერ განზრახ არასწორად არის მოწოდებული ინფორმაცია არსებითი გარემოებების შესახებ ან ეს ინფორმაცია გაყალბებულია ან თუ დამზღვევის მიერ დამალულია ინფორმაცია არსებითი გარემოებების შესახებ;

7.3.5. თუ დამზღვევმა განზრახ გამოიწვია საფრთხის გაზრდა ან დროულად არ შეატყობინა მზღვეველს საფრთხის გაზრდის შესახებ;

7.3.6. დამზღვევის ან/და დაზღვეულის მიერ სადაზღვევო შემთხვევის გაყალბების აღმოჩენის შემთხვევაში;

7.3.7. თუ დამზღვევი/მოსარგებლე ან მისი (მათი) სახელით მოქმედი პირი არ შეასრულებს დაზღვევის პოლისით გათვალისწინებულ პირობებს, გაართულებს ან ხელს შეუშლის მზღვეველს დაზღვევის პოლისით განსაზღვრული უფლებამოსილების ან მზღვეველის საქმიანობის განხორციელებაში;

7.3.8. დამზღვევის მიერ პოლისით გათვალისწინებულ ვადებში სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში.

7.4. ამ ხელშეკრულების 7.3.4 - 7.3.8 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, თავისი არჩევანისამებრ, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაცემული უკლებლივ ყველა სადაზღვევო პოლისის მოქმედება ან მხოლოდ იმ პოლისის ან პოლისების მოქმედება რომელსაც უშუალოდ უკავშირდება მითითებულ პუნქტებში ჩამოთვლილი დარღვევა/დარღვევები.

7.5. დაზღვევის პოლისის 7.3.2 - 7.3.8 პუნქტებით გათვალისწინებული ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს სადაზღვევო პრემიის ნაწილს იმ დროის პროპორციულად, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა დაზღვევა, ხოლო დამზღვევის დამატებითი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ხელშეკრულების მე-7 მუხლით.

7.6. დაზღვევის პოლისის 7.3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, მზღვეველი არ არის ვალდებული დააბრუნოს სადაზღვევო პრემია და ამასთანავე დამზღვევი არ თავისუფლდება პოლისით გათვალისწინებული პრემიის დარჩენილი შენატანის გადახდის ვალდებულებისგან.

7.7. თუ დამზღვევს სურვილი აქვს გააუქმოს ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული რომელიმე ან ერთდროულად რამდენიმე პოლისი, ის ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მზღვეველს პოლისის გაუქმების შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე.

7.8. ამ ხელშეკრულების 7.3.4 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგაც, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გარემოებამ, რომლის შესახებაც დაირღვა ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულება, გავლენა მოახდინა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე ან/და მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან.

7.9. მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს პოლისი, რის შესახებაც წერილობით შეატყობინებს დამზღვევს გაუქმებამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში დასაბრუნებელი პრემია დაანგარიშდება ჯამური პრემიიდან გამომუშავებელი ნაწილის გამოკლებით და დაუბრუნდება დაზღვეულს შეწყვეტიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

7.10. თუ დაირღვა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული რომელიმე პოლისთან დაკავშირებით პრემიის გადახდის პირობები (სრული პრემია ან რომელიმე შენატანი დროულად ან

დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი), მზღვეველი წერილობითი შეტყობინების შემდეგ 2 (ორი) კვირიანი ვადის გასვლისას თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ ყველა პოლისთან დაკავშირებით. 2 (ორი) კვირიანი ვადის გასვლამდე გადახდის გრაფიკის აღდგენის და პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ, მხარეთა ურთიერთობა გაგრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით;

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების, შესაბამისი პოლისის დაზღვევის პირობების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია წერილობით მოითხოვოს დამზღვევისაგან პირგასამტეხლოს გადახდა გადასახდელი პრემიის 0.05%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამზღვევს ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან.

8.3. მზღვეველი არ აანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევით დამდგარ ზარალს, დამზღვევის ან/და დაზღვეულის მიერ სადაზღვევო შემთხვევის გაყალბების აღმოჩენის შემთხვევაში. ასეთი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით დაუყოვნებლივ შეწყვიტოს პოლისი (დაზღვევის მოქმედება) და/ან დააჯარიმოს დამზღვევი 5,000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით; ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, კონკრეტდება, რომ მზღვეველი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთ ან ერთდროულად ორივე სანქცია, მისი არჩევანისამებრ.

8.4. თუ მოხდება ხელშეკრულების ან მის საფუძველზე გაცემული რომელიმე პოლისის ვადამდე შეწყვეტა დამზღვევის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით (მზღვეველის ბრალეულობის გარეშე) ან დამზღვევმა საკუთარი ინიციატივით (მზღვეველის ბრალეულობის გარეშე) ცალმხრივად შეწყვიტა წინამდებარე ხელშეკრულება (ან მის საფუძველზე გაცემული რომელიმე პოლისი), მათ შორის ამ ხელშეკრულების 7.7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევაში, მაშინ:

8.4.1. დამზღვევს არ დაუბრუნდება ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღის გათვალისწინებით გამომუმუშავებელი სადაზღვევო პრემია, დაზღვევის შესაბამისი სახეობებისა და გამოწერილი სადაზღვევო პოლის(ებ)ის მიხედვით;

8.4.2. დამზღვევი უპირობოდ გადაუხდის მზღვეველს დაზღვევის შესაბამისი სახეობებისა და გამოწერილი სადაზღვევო პოლის(ებ)ის მიხედვით წლიური სადაზღვევო პრემიის 1/12 ნაწილს (დაზღვევის 1 თვის შესაბამისი პრემია). ამ ქვეპუნქტში მითითებული თანხა დამზღვევის მიერ გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

8.4.3. დამზღვევი სრულად აუნაზღაურებს მზღვეველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა ჯარიმას ან/და პირგასამტეხლოს, ამ ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

8.4.4. თუკი დამზღვევს წლიური პრემია ერთჯერადად აქვს გადახდილი, მზღვეველი უფლებამოსილია გადახდილი თანხიდან გამოქვითოს გამომუშავებულ პრემია, 8.4.2 პუნქტით გათვალისიწნებულ 1 (ერთი) თვის პრემია და 8.4.3 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ჯარიმა ან/და პირგასამტეხლო; გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი თანხა დაუბრუნდება დამზღვევს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

8.4.5. თუკი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ მოხდა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული რომელიმე პოლისით, მაშინ ამ პოლისისთვის გათვალისწინებული პრემია სრულად უნდა აუნაზღაურდეს მზღვეველს ამ ხელშეკრულების/პოლისის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

8.5. გარდა ზემოაღნიშნულისა, მხარეები სრულად აუნაზღაურებენ ერთმანეთს ბრალეული ქმედებით მიყენებულ ზიანს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ორმაგი დაზღვევა

9.1. დამზღვევი და მოსარგებლე ვალდებულია წერილობით შეგვატყობინოთ ყველა დაზღვევის პოლისის და/ან დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დადებულია დაზღვევის ობიექტთან დაკავშირებით სხვა სადაზღვევო კომპანიასთან. ამასთან დამზღვევი ვალდებულია მიუთითოს ყველა ასეთი სადაზღვევო კომპანიის სახელწოდება, დაზღვევის ობიექტი, დაზღვეული რისკები და სადაზღვევო თანხის სიდიდე.

9.2. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი პოლისისათვის მოსარგებლეს აუნაზღაუროს ზარალი ჯამურ სადაზღვევო თანხაში თავისი წილის პროპორციულად.

10. რეგრესი

10.1. სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგ, მზღვეველზე გადმოდის მოთხოვნის უფლება გადახდილი თანხის ფარგლებში, რომელიც დამზღვევს და/ან მოსარგებლეს აქვთ იმ პირის მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია ზარალზე.

10.2. დამზღვევი ან მოსარგებლე ვალდებულია გადასცეს მზღვეველს ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ გადმოსული რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის.

10.3. მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისგან, თუ დამზღვევმა ან მოსარგებლემ უარი განაცხადეს მზღვეველისთვის რეგრესული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.

10.4. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ რეგრესული უფლების შესრულება შეუძლებელი გახდა დამზღვევის ან მოსარგებლის ქმედებით, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს უკვე ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნება.

11. ფორს – მაჟორული გარემოება

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა ფარს-მაჟორული გარემოება.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

11.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

12. კონფიდენციალურობა

12.1. მხარეები ვალდებული არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე სადაზღვევო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გაუმღავნონ ის მესამე პირებს. კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მხარეთა შეთანმებით ან კანონით მიიჩნევა ასეთად.

12.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:

12.2.1. რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

12.2.2. თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება მხარეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად, მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების განსახორციელებლად;

12.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;

12.2.4. თუ ინფორმაციის მესამე პირისთვის გამჟღავნება მოხდება: ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გამცემი მხარე სრულად აგებს პასუხს მესამე პირის მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე ან ბ) რომელიმე მხარისგან დამოუკიდებლად.

12.3. მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევის ან დაზღვეულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირს დამზღვევის მიერ ხელშეკრულების ან/და სადაზღვევო პოლისის პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მზღვეველის უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და დამზღვევის მიერ პოლისის ან/და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტის პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

13. სასამართლო და დავათა გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულება განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. თითოეული მხარე ვალდებულია უპირობოდ და სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით - ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი (მიუღებელი სარგებელის ჩათვლით) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. მხარეები მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მათ შორის წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაწყვიტონ მოლაპარაკებათა გზით, ხოლო სადაო საკითხების მოლაპარაკებათა გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავები, პრეტენზიები ან/და წინააღმდეგობები წყდება სასამართლოს განხილვის გზით საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

14. მხარეთა ურთიერთობა

14.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ფაქსის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

14.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

14.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია მზღვეველის მიერ, გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია დამზღვევის მიერ, მზღვეველის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო სამუშაო დღეს;

14.2.2. ფაქსის, ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში ადრესატის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან.

14.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

14.4. მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სადაზღვევო პოლისის(ებ)ით განსაზღვრულ მისამართებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების, აგრეთვე პოლისის შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

15.2. ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული დაზღვევის პოლისის რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული დაზღვევის პოლისის ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული დაზღვევის პოლისით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

15.3. ხელშეკრულებას და პილისს (სერთიფიკატი, განაცხადი და დაზღვევის პირობების) შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, უპირატესობა ენიჭება პოლისის პირობებს.

15.4. ხელშეკრულება ან/და მასთან დაკავშირებული სადაზღვევო პოლისი, მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ ხელშეკრულების ან/და სადაზღვევო პოლისის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

15.5. დაუშვებელია მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებების გადაცემა სხვა პირისათვის, მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე.

15.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად;

მხარეთა ხელმოწერები

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	სს "რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტ ჯორჯია"
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.N200122900 კოდი: 220101222	ს.კ. – 204 568 896 ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №5 ბანკი: სს „თიბისი ბანკი" ანგ. N: GE07TB7089836020100008 ბანკის კოდი: TBCBGE22
სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი _____	გენერალური დირექტორი _____ ნინო კობახიძე

LEPL - NATIONAL FOOD AGENCY 205142200

მოამზადა: სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო:

შეთანხმებულია: საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი:

იურიდიული დეპარტამენტი:

მცენარეთა დაცვის დეპარტამენტი:

ქონების დაზღვევი პირობები

(ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული აგრეგატებისთვის)

მუხლი 1 ზოგადი დებულებები

1.1.წინამდებარე დოკუმენტაციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

დაზღვევა – ურთიერთობა, რომელიც მყარდება შემსყიდველ ორგანიზაციებსა და მიმწოდებელს შორის სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას ქონებრივი ინტერესების დასაცავად.

დაზღვევის ხელშეკრულება - წინამდებარე დოკუმენტაციის საფუძველზე და მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

სადაზღვევო პოლისი (დაზღვევის პოლისი) - დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აგრეგატ(ებ)ის (დაზღვეული ქონების) დაზღვევის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ხელშეკრულება და პირობების ერთობლიობა.

სადაზღვევო პოლისის ღირებულება - შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონკრეტული დაზღვეული ქონებისთვის წინამდებარე პირობების მიხედვით დაზღვევის ღირებულება.

დამზღვევი – შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელიც აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას მიმწოდებელთან;

მზღვეველი - მიმწოდებელი, რომელიც წინამდებარე დოკუმენტაციითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ;

შემთხვევა - შემთხვევა, როდესაც ზიანი მიადგა დაზღვეულ ქონების;

სადაზღვევო შემთხვევა – შემთხვევა, რომლის დადგომის შედეგად, მზღვეველის მიერ შესაბამისი დადასტურების/აღიარების შემდეგ, წარმოიშობა მზღვევლის ვალდებულება გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

შემთხვევის დადასტურება (შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად ქცევა, სადაზღვევო აღიარება) - მზღვეველის აღიარება იმის შესახებ, რომ მომხდარი შემთხვევის ხდომილების შედეგად მას წარმოეშვა ვალდებულება გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

სადაზღვევო თანხა (ლიმიტი) - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ჯამური ოდენობა, რომელიც განისაზღვრება დაზღვევის თითოეული დაზღვეული ქონებისთვის ცალ-ცალკე.

სადაზღვევო ანაზღაურება - ანაზღაურება, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გასცემს მზღვეველი წინამდებარე დოკუმენტაციის, სადაზღვევო პოლისის და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

სადაზღვევო აქტი - სადაზღვევო ანაზღაურების პირობების შესახებ დაზღვეულსა და მზღვეველს შორის მიღწეული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

სადაზღვევო პრემია - დამზღვევის მიერ გადასახდელი დაზღვევის საფასური/ღირებულება, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრულია წინამდებარე დოკუმენტაციასა და დაზღვევის ხელშეკრულებაში;

გადახდილი სადაზღვევო პრემია (გამომუშავებული პრემია) - სადაზღვევო პერიოდის

განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის (სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან) დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის გადახდილი სადაზღვევო შენატანი/პრემია;

გადაუხდელი სადაზღვევო პრემია (გამოუმუშავებელი პრემია) - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე გადასახდელი სადაზღვევო შესატანი/პრემია;

სადაზღვევო პერიოდი - ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

დაზღვეული ქონების ღირებულება - დაზღვევის ხელშეკრულებაში დამზღვევის მიერ მითითებული საბაზრო ღირებულება - სადაზღვევო თანხა. აღნიშნული ღირებულების საფუძველზე მოხდება სადაზღვევო პრემიისა და დაზღვევის პერიოდში ნებისმიერ მომენტში გასაცემი შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურების გამოანგარიშება;

აღდგენის ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევით დაზიანებული ქონების ან სხვა ქონების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე მიყვანის მიზნით (აღსადგენად) საჭირო სამუშაოების, აუცილებელი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების საბაზრო ღირებულება;

საბაზრო ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღეს ნებისმიერი ქონების, დაზღვეული ქონების ან მისი რომელიმე ნაწილის მსგავსი მახასიათებლების მქონე ქონების ღირებულება საქართველოს ბაზარზე;

დაზღვევის ტერიტორია - ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორიული ფარგლები, რომელის ფარგლებშიც ძალაშია ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის პირობები;

დაზღვეული ქონება - ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონება, რომელზედაც ვრცელდება დაზღვევა წინამდებარე დოკუმენტაციითა და დაზღვევის ხელშეკრულების პირობებით;

უფლებამოსილი მძღოლი - (შემდგომ - მძღოლი) უფლებამოსილ მძღოლად ითვლება ავტოტრანსპორტის (რომელზეც განთავსებულია დაზღვეული ქონება) შესაბამისი მართვის მოწმობის მქონე დამზღვევი ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი ან დამზღვევის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი მართვის მოწმობა ან ნებისმიერი პირი რომელსაც გააჩნია შესაბამისი მართვის მოწმობა, თუ მას მანქანაში უზის დამზღვევის თანამშრომელი ან უფლებამოსილი პირი.

ფრანშიზა - თანხა, რომელსაც არ აანაზღაურებს მზღვეველი (არაანაზღაურებადი მინიმუმი) და აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე;

სადაზღვევო რისკები და საერთო გამონაკლისები

მუხლი 2 სადაზღვევო რისკები და ფრანშიზის ოდენობა

2.1. წინამდებარე პირობებით იფარება დაზღვეული ქონების დაზიანება უშუალოდ პირდაპირ გამოწვეული შემდეგი სადაზღვევო რისკებით:

2.1.1. ავტოსაგზაო შემთხვევა უფლებამოსილი მძღოლის ბრალეულობით - ფრანშიზა: ზარალის 5% მინიმუმ თითოეული დაზღვეული ქონების სადაზღვევო თანხის 0,5%;

2.1.2. ავტოსაგზაო შემთხვევა უფლებამოსილი მძღოლის ბრალეულობის გარეშე (მესამე პირის ბრალეულობით - ფრანშიზა: ნულოვანი;

2.1.3. მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა ან აღნიშნულის მცდელობა, ვანდალიზმი) - ფრანშიზა: ნულოვანი

2.1.4. სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, დიდთოვლობა, მეწყერი, ღვარცოფი, ჰაერის მასების მოძრაობა, სეტყვა, მიწისძვრა) - ფრანშიზა: ნულოვანი

2.1.5. აფეთქება, ხანძარი, რაიმე საგნის ვარდნა/დაცემა - ფრანშიზა: ნულოვანი

მუხლი 3 გამონაკლისები

3.1.მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს:

3.1.1. შეთხვევა თუ ზარალი დადგა სატრანსპორტო საშუალების მართვისას არაუფლებამოსილი პირის მიერ, გარდა ქურობა, ძარცვა, ყაჩაღობის შემთხვევებისა;

3.1.2. შეთხვევა, რომელიც მოხდა სატრანსპორტო საშუალების მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს;

3.1.3. ზარალი, რომელიც გამოწვეულია დამზღვევის მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული განზრახი ქმედებით, მათ შორის ისეთი შემთხვევა, როდესაც დამზღვევი განზრახ გამოიწვევს სადაზღვევო შემთხვევას ან რაიმე ხერხით გააყალბებს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ რაიმე დოკუმენტაციას;

3.1.4. შემთხვევა, რომელიც ითვალისწინებს უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობას ან მის მცდელობას;

3.1.5. შემთხვევა, რომელიც ითვალისწინებს ულებამოსილი მძღოლის ისეთ განზრახ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას.

3.1.6. შემთხვევა, თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით;

3.1.7. დაზიანებული ქონების შეკეთებით მისი საბაზრო ღირებულების შემცირების ხარჯები;

3.1.8. ზარალი, თუ დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის მიწოდებული და/ან ხელშეკრულებაში მითითებული რომელიმე ინფორმაცია (სატრანსპორტო საშუალების დამზღვევის, მოსარგებლის და უფლებამოსილი მძღოლების შესახებ) აღმოჩნდება არაზუსტი, გარდა ტექნიკური შეცდომისა რომელიც არ ზრდის რისკის მოცულობას.

3.1.9. შემთხვევა, რომლის დროსაც დამზღვევი ან დაზღვეული უარს განაცადებს მზღვეველისათვის რეგრესული უფლების მოთხოვნის გადაცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა დამზღვევის ან მოსარგებლის ქმედებით.

3.1.10. ზარალი, რომელიც წარმოიშვა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

3.1.11. ზარალი, რომელიც წარმოიშვა თუ სატრანსპორტო საშუალება მონაწილეობდა ნებისმიერი სახის რბოლაში;

3.1.12. თუ დაზიანებული ქონების მახასიათებლები არ ემთხვევა ქონების საიტენტიფიკაციო მონაცემებს, გარდა ტექნიკური ხარვეზისა;

3.1.13. მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახი ქმედებით.

3.1.14. მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ

დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა დადგა უხეში გაუფრთხილებლობით.

3.1.15. დაზღვეული ქონების ტექნიკური მომსახურების და საგარანტიო ხარჯებზე;

3.1.16. მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, იმ შემთხვევაში თუ ზარალი დადგა საომარი ვითარების შედეგად.

3.1.17. ზიანი, რომელიც გამოწვეულია სატრანსპორტო საშუალების ქვემოთ ჩამოთვლილი მოძრაობის წესების დარღვევით:

- შუქნიშნის ამკრძალავი ნიშნის დარღვევით;
- სიჩქარის გადაჭარბებით;
- უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთით;
- მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობა.

3.1.18. შემთხვევა, თუ დაზღვეული სატრანსპორო საშუალება გადატვირთული იყო, ან მგზავრების რაოდენობა აღემატებოდა მწარმოებლის მიერ დასაშვებს და სწორედ ამან გამოიწვია სადაზღვევო შემთხვევა;

3.1.19. ნებისმიერი ხასიათის მორალური ზიანი;

3.1.20. ნებისმიერი სახის მიუღებელი შემოსავლით პირდაპირ ან ირიბად გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;

3.1.21. ზიანი, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ქონების არასწორი ექსპლუატაციით და/ან არადანიშნულებით გამოყენებით;

3.1.22. ზიანი, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ქონების დამზადების, თანდაყოლილი დეფექტით, ქარხნული წუნით, შეუსაბამო ან/და არასწორი დიზაინით ან/და პროექტირებით;

3.1.23. დაზღვევამდე არსებული ნებისმიერი დაზიანება ან ამგვარით გამოწვეული შემდგომი ზიანი;

3.1.24. გაუჩინარება, დანაკლისი აღმოჩენილი ინვენტარიზაციის შედეგად.

3.1.25. ზიანი გამოწვეული:

- კონფისკაციით, რეკვიზიციით, ექსპროპრიაციით, დაზღვეული ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლით, ან სახელმწიფო ორგანოების ბრძანებით დაზღვეული ქონების დაზიანებით/განადგურებით;
- იონიზებული რადიაციით, თერმობირთვული საწვავისა და ნებისმიერი ბირთვული ნარჩენებით განპირობებული რადიოაქტიული დაბინძურებით. რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან ნებისმიერი ბირთვული ნივთიერების შემცველი აირით;
- ბირთვული რეაქციით, რადიაციის ან რადიოაქტიური დაბინძურებით;
- საომარი მოქმედებით (მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა), შეიარაღებული ამბოხებით, ლოკაუტით, მანიფესტაციით, საბოტაჟით, მასობრივი არეულობით, სამოქალაქო მღელვარებით, გაფიცვით, სამოქალაქო ომით, სამხედრო გადატრიალებით, სახალხო აჯანყებით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპირებული ძალაუფლების ქმედებით, ატომური იარაღის გამოყენებით, სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობით ან სხვა ნებისმიერი მოვლენით ან გარემოებით, რის შედეგადაც გამოცხადებულია სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობა, ან ყოველივე ამისაგან გამომდინარე მიზეზებით;
- ნებისმიერი ტერორისტული აქტით ან მისი მცდელობის შედეგად.

3.1.26. ზიანი გამოწვეული, ცვეთა, კოროზია, დაჟანგვა, თანდაყოლილი დეფექტი, დეფექტიანი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების გამოყენება;

3.1.27. ხარჯები რომელიც გაწეულ იქნა დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების

შეკეთებისათვის და რომელიც შეთანხმებული არ იქნება მზღვევლთან.

3.1.28. დაუდგენელი პირების მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანება/განადგურების შემთხვევები, თუ არ მოხდება მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან/შესაბამის უწყებებთან დაზიანების აღმოჩენისთანავე დაკავშირება.

3.1.29. თუ ზიანის შემთხვევაში, გათვალისწინებულ ვადაში არ მოხდა დაკავშირება მზღვეველთან, საპატრულო პოლიციასთან და შესაბამის უწყებებთან ან დაზიანებულ დაზღვეული ქონებია მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე გადაადგილა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაადგილება მოხდა შესაბამისი კომპეტენტური უწყების მითითებით კანონით გათვალისწინებულ შეთხვევაში და მზღვეველის ზეპირსიტყვიერი მითითებით.

მუხლი 4 სადაზღვევო შემთხვევა და სადაზღვევო ანაზღაურება

4.1. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულია დაზღვეული ქონების ნაწილობრივი ან სრული დაზიანება (განადგურება);

4.2. დაზღვეული ქონება სრულ ზარალად (განადგურებად) ჩაითვლება:

4.2.1. ქონების ზიანი, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას.

4.2.2. ქონების ზიანი რომლის აღდგენა/შეკეთების ღირებულება ხელშეკრულებაში მითითებული ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს;

4.2.3. ზარალი, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ქონების დაკარგვით (ქურდობა, მარცვა ღაჩაღობით).

4.3. წინამდებარე მუხლის 4.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მხარეს უფლება აქვს ჩაატაროს ექსპერტიზა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში ან აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს (აკრედიტაციის ცენტრი) მიერ აკრედიტირებულ პირთან ან ურთიერთშეთანხმებით სხვა პირთან, რომლის დასკვნის გათვალისწინებაც სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

4.4. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ქონების სრული ზარალის (განადგურების) ან დაკარგვის შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია გასცეს ანაზღაურება ფულადი ანაზღაურების ფორმით დაზღვეული ქონების სადაზღვევო თანხის ფარგლებში (შესაბამისი ფრანშიზის, გადაუხდელი პრემიისა და სადაზღვევო პერიოდში გაცემული ანაზღაურებ(ებ)ის (ასეთის არსებობისას) გამოკლებით.

4.5. სრულ განადგურებად ასევე ჩაითვლება შემთხვევა, თუ კონკრეტულ დაზღვეულ ქონებაზე სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვევლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების სახით გაიცა სადაზღვევო თანხის 80%. აღნიშნულ შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია იმოქმედოს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სრული ზარალის ანაზღაურების პირობების შესაბამისად.

4.6. დაზღვეული ქონების დაკარგვის შემთხვევაში, თუ დაზღვეული ქონების პოვნა მოხდება სადაზღვევო ანაზღაურების მიღებამდე, დამზღვევი ვალდებულია დაიბრუნოს ნაპოვნი დაზღვეული ქონება, რა დროსაც მზღვეველი თავისუფლდება ზარალის ანაზღაურებისაგან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ქონების პოვნა მოხდება სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდგომ, დამზღვევი არ არის ვალდებული დაიბრუნოს სატრანსპორტო საშუალება, ასეთ შემთხვევაში დამზღვევი მზღვეველს გადასცემს დაზღვეული ქონების საკუთრების უფლებას. გადაფორმებასთან დაკავშირებით ხარჯებს გაიღებს მზღვეველი.

4.7. იმ შემთხვევაში, თუ ნაპოვნი დაზღვეული ქონება ნაწილობრივ ან სრულად

დაზიანებულია (განადგურებულია), მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ნაწილობრივი ზარალისა ან სრული ზარალის ანაზღაურების შესაბამისად.

4.8. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეული ქონების ნაწილობრივი დაზიანების ან/და მისი ნაწილების დაკარგვის შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია უზრუნველყოს დაზღვეული ქონების სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად საჭირო თანხები, რაც გულისხმობს დაზიანებული დაზღვეული ქონების ან მისი ნაწილების საბაზრო ღირებულების და შეკეთება/აღდგენის ხარჯების გაცემას სადაზღვევო ანაზღაურების სახით (სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დარჩენილი ლიმიტის ფარგლებში).

მუხლი 5 სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომ მოქმედების გეგმა

5.1. დამზღვევი ვალებულია შეატყობინოს მზღვევლს 24 საათიანი ცხელი ხაზის მეშვეობით; შემთხვევის დადგომისთანავე/აღმოჩენისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა თუ ზარის განხორციელება შეუძლებელია ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე; აგრეთვე, შეატყობინოს აღნიშნულთან დაკავშირებით შსს-ს და/ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს.

5.2. ხელშეკრულების გაფორმებისას დამზღვევი და მზღვევლი განსაზღვრავენ იმ სერვის-ცენტრ(ებ)ის ჩამონათვალს, რომელშიც სადაზღვევო შემთხვევის შედეგად უნდა განხორციელდეს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების შეკეთება/აღდგენითი სამუშაოები. ხელშეკრულების მიმდინარეობის პროცესში ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია სერვის-ცენტრების ჩამონათვალში ცვლილებების განხორციელება.

5.3. მზღვეველის წარმომადგენელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს ერთი საათისა, გამოცხადეს შემთხვევის ადგილზე, რომელიც ვალდებულია დაათვალიეროს არსებული დაზიანებები, მათ შორის - მესამე პირები და მოიძიოს ყველა საჭირო ინფორმაცია შემთხვევასთან დაკავშირებით; იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო შემთხვევის ადგილზე მზღვეველის წარმომადგენლის გამოცხადებისათვის საჭიროა ერთ საათზე მეტი დრო ან გამოცხადება არ არის მიზანშეწონილი მზღვეველი მხოლოდ სატელეფონო ინსტრუქტაჟით შემოიფარგლება, აღნიშნულ შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია, არ დაელოდოს მზღვეველის წარმომადგენელს და იმოქმედოს მზღვეველის და საპატრულო პოლიციის ინსტრუქტაჟით.

5.4. დამზღვევი ვალდებულია მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა, დაზღვეული ქონების გადასარჩენად ან/და ზიანის მოცულობის შესამცირებლად, მზღვეველის წარმომადგენილის შემთხვევის ადგილზე მისვლამდე, უზრუნველყოს მდგომარეობის შენარჩუნება უცვლელად ობიექტური შესაძლებლობებისა და მოქალაქეობრივი უფლებმამოსილების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის საწინააღმდეგო მითითება მიიღო მზღვეველის (ზეპირი/სატელეფონო ინსტრუქციით) ან/და სამართალდამცავთა მითითებით ან საჭიროა დაზარალებულ პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

5.5. შემთხვევის დადგომისას მზღვეველი ვალდებულია სამართალდამცავ ორგანოებისა თუ სხვა მესამე პირებისაგან უმოკლეს ვადაში მოიპოვოს ყველა შესაბამისი დოკუმენტი და აღნიშნულიდან 5 სამუშაო დღეში აღიაროს შემთხვევა როგორც სადაზღვევო შემთხვევა ან დასაბუთებული უარი განაცხადოს შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად

აღიარებაზე. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გასცეს შესაბამისი მინდობილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია წარმოადგინოს ის დოკუმენტ(ებ)ი, რომლის მოსაპოვებლადაც არ გასცა მინდობილობა.

5.6. ზიანის შეფასება უნდა მოხდეს ურთიერთშეთანხმებულ სერვის ცენტრში;

5.7. მზღვეველის მიერ ზარალის ანაზღაურების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ დამზღვევისათვის ინფორმაციის მიწოდების შემდგომ, მზღვეველი ვალდებულია, 5 სამუშაო დღის ვადაში შეადგინოს შესაბამისი სადაზღვევო შემთხვევის აქტის, რომელსაც ხელს აწერენ მზღვეველი და დამზღვევი.

5.8. სადაზღვევო შემთხვევის აქტზე მხარეთა ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა.

5.9. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა 20%-ით ან/და მეტით ნაკლებია დაზღვეული ქონების საბაზრო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, მაშინ, მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და საბაზრო ღირებულების შეფარდების შესაბამისად.

5.10. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამზღვევისგან და დამზღვევი ვალებულია გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება და პირდაპირი მფლობელობა:

- ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში - სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებულ დაზღვეულ ქონების ნაწილებზე
- დაზღვეული ქონების განადგურებისას განადგურებულ დაზღვეულ ქონებაზე, ხოლო დაკარგვისას დაკარგულ დაზღვეულ ქონებაზე პოვნის შემთხვევაში.

5.11. იმ შემთხვევაში, თუ 5.11.-5.12 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულება შეუძლებელია დამზღვევის მიერ ობიექტური მიზეზების გამო, განადგურებულ ქონებაზე რეგისტრირებულია სამართლებრივი აკრძალვა/შეზღუდვა ან/და გირავნობის უფლება ან/და არსებობოს სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მზღვეველზე საკუთრებისა და მფლობელობის უფლების გადმოსვლას, მზღვეველი უფლებამოსილია აღნიშნული დაზღვეული ქონები/მისი ნაწილ(ებ)ის ნარჩენი საბაზრო ღირებულება გამოქვითოს გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებიდან.

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ნარჩენი ღირებულება	საერთო ნარჩენი ღირებულება	სადაზღვევო პრემია I თვეზე (21.05.2019 - 21.06.2019)
370204, თერმული ნისლის შემახურებელი აპარატი, მართვის პულტით, ტენტით -Thermal Fog Sprayer with removable remote Control Box, produced by Curtis dyna Fog. Model 1200	2	19,768.77	39,537.54	158.15
370204, სამანქანო შემასხურებელი აგრეგატი, "TMIKRONAIR" AU8115M	2	1,208.90	2,417.79	9.67
Grant - 370204, AU 8115 სამანქანო შემასხურებელი	1	5,788.03	5,788.03	23.15
370204 - შემასხურებელი აგრეგატი ულტრამცირემოცულობიანი შესხურებისათვის Micronair AU8115M (მცენარეთა დაცვა)	1	14,170.00	14,170.00	56.68
CIB - გამაფრქვეველი შემასხურებელი აგრეგატი Micronair AU8115M, მიღება 17.03.2015 წელი, ფასი - 30556.117 ლარი	3	18,961.55	56,884.66	227.54
CIB - გამაფრქვეველი შემასხურებელი აგრეგატი. SCOUT 28s 300, მიღება 02.02.2015 წელი, ფასი - 31000 ლარი	2	19,716.00	39,432.00	157.73
370204 - შემასხურებელი აგრეგატი MICRONAIR AU8115M	2	14,170.00	28,340.00	113.36
370204, Dyna-Fog (საბაზისო ძრავი 11 ცხ. ძალა)	5	8,579.46	42,897.30	171.59
370204 - შემასხურებელი აგრეგატი WIND 640 FLX, მიღება 30.03.2016 წელი, ფასი - 35000 ლარი	2	25,445.00	50,890.00	203.56
Grant - 370201, თერმული ნისლით დამუშავების (შესაწამლი) მანქანა-დანადგარი, მიღება 16.04.2018 წელი, ფასი - 30266.34 ლარი	34	27,512.10	935,411.51	3,741.65
Grant - 370201, თერმული ნისლით დამუშავების (შესაწამლი) მანქანა-დანადგარი, მიღება 16.04.2018 წელი, ფასი - 38050.85 ლარი	35	34,588.22	1,210,587.79	4,842.35
Grant - 370201, მაღალი ხეების დამუშავების (შესაწამლი) მანქანა-დანადგარი, მიღება 16.04.2018 წელი, ფასი - 39830.51 ლარი	32	36,205.93	1,158,589.87	4,634.36
Grant - 370201, მაღალი ხეების დამუშავების (შესაწამლი) მანქანა-დანადგარი, მიღება 04.05.2018 წელი, ფასი - 39830.51 ლარი	18	36,205.92	651,706.64	2,606.83
Grant - 370208, შემასხურებელი აგრეგატი, Tifone, Citizen Kompact 500-35. Mist Sprayers. მიღება 27.07.2018 წელი, ფასი - 42020.4 ლარი	15	38,196.54	572,948.10	2,291.79
CIB - შემსახურებელი აგრეგატი WIND 640 FLX, მიღება 16.02.2018 წელი	8	32,027.04	256,216.35	1,024.87
CIB - შემსახურებელი აგრეგატი WIND 640 FLX-S 2017 წლის მოდელი, მიღება 10.01.2018 წელი	7	32,114.70	224,802.88	899.21
Grant 370208 - შემასხურებელი აგრეგატი. Sprayer. HUASHENG TAISHAN 3WG-30, მიღება 29.03.2019 წელი	20	55,548.89	1,110,977.76	4,443.91
Grant 370208 - შემასხურებელი აგრეგატი. Sprayer. DADI DA-500, მიღება 29.03.2019 წელი	20	12,929.83	258,596.65	1,034.39
CIB - შემასხურებელი BRAVO 600-FLEXIGUN 65S, (იტალია) ტრაქტორებზე დასაკიდებელი, მიღება 04.02.2019 წელი	6	37,181.89	223,091.35	892.37
CIB - შემასხურებელი BRAVO 600-FLEXIGUN 65S, (იტალია) ტრაქტორებზე დასაკიდებელი, მიღება 04.03.2019 წელი	5	37,136.72	185,683.58	742.73
	220		7,068,969.81	**28275.87923**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ **სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტ ჯორჯიას** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს
უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

მცენარეთა დაცვის დეპარტამენტი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო